1877—1895

№ 278

შაბათი, 23 დეკემბერი 1895

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 278

შაბათი, 23 დეკემბერი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1896 ГОДЪ

На армянскую газету

„МШАКЪ“

(*двадцать четвертый годъ изданія*).

Въ 1896 году „Мшакъ“, газета политическая и литературная, какъ и въ прошлые годы, будетъ издаваться въ Тифлисѣ, по прежней программѣ.

**Подписная цѣна** съ пересылкою и доставкою: на годъ—10 рубл.; на 11 и 10 мѣсяцевъ—9 руб.; на 9 и 8 мѣсяцевъ—8 руб.; на 7 мѣсяцевъ—7 руб.; на полгода—6 руб.; на 5 мѣсяцевъ—5 руб.; на 4 мѣсяца—4 руб.; на 3 мѣсяца—3 руб.; на 2 мѣсяца—2 руб.; на 1 мѣсяцъ—1 рубль.

**Подписка и объявленія принимаются въ Тифлисѣ**, въ конторѣ редакціи (уголъ Баронской и Базарной ул.).

Объявленія принимаются на армянскомъ, русскомъ и иностранныхъ языкахъ. Цѣна за объявленія—2 коп. со слова.

**Адресъ** для всей имперіи: **Тифлисъ, Редакція „Мшакъ“.**

Адресъ для заграничныхъ подписчиковъ: Tiflis, Rédaction du journal arménien „Mschak“.

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 27 დეკემბერს, 1895 წ.

ბენეფისი

კ. დ. ყიფიანისა.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

I

**იაკობელები**

ანუ

სამეფო ტახტისათვის

დრამა 5 მოქ. კოპპესი. თარგ. პ. ყიფიანისა და გრ. ყიფშიძის მიერ.

ქ-ნ ავალიშვილისა, კ. ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით

მონაწილეობას იღებენ: ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა ბეზირგანოვისა და სხვ. ბ-ნნი: ყიფიანი, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, კანდელაკი, ცაგარელი, ადამიძე, საფაროვი, კორინთელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

„**კახეთის მევენახეთა საზოგადოების**“ დროებითი გამგეობა თანხმად წევრთა დამფუძნებელი საზოგადო კრების დადგენილებისა, რომელიც შესდგა 10 ამ დეკემბერს, აცხადებს, რომ მან დაიწყო თავისი მოქმედება და ამ დღიდამ ყველა მსურველისაგან მიიღებს თხოვნას წევრად შერიცხვისა ზემოხსენებულ საზოგადოებაში. მსურველთ უნდა მიჰმართონ დროებით გამგეობას, შემდეგი ადრესით: Въ контору Общества Кахетинскихъ Садовладѣльцевъ, Эриванская пл., караван-сарай Тамамшева.

2—3037—1

„**კახეთის მევენახეთა საზოგადოების**“ დროებითი გამგეობა აცხადებს, რომ 31 ამ დეკემბერს დილის 10 საათზე დანიშნულია პირველი საზოგადო კრება წევრებისა ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები: 1) საზოგადოების საქმის მოწყობა, 2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი. 2—3037—1

**მომავალ დღესასწაულებისთვის მივიღე** კახეთის მამულების

**საუკეთესო ღვინოები**

ძველი და ახლები და ისყიდება ნაკლებ ფასებათ, როგორც პარტიობით, აგრეთვე წვრილად,—ბოთლი 20 კ.—1 მანეთამდე, ვედრო 2 მ. 40 კ.—10 მანეთამდე.

ღვინის ვაჭრობა იმყოფება შუა ბაზრის თავში წინამძღვაროვების შენობაში, № 1, 5 განყოფილებაში.

სოლომონ ი. კურდღელოვი.

(1—3029—1)

## ახალი ამბავი

—

*** „კიევსკი სლოვო“-ში დასტამბულია წერილი, რომლის ავტორი, ასწერს-რა ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიების მცხოვრებთა უნუგეშო მდგომარეობას წყალდიდობის მიზეზით, იწვევს კიეველთაც—დააარსონ კომიტეტი და შემწეობა აღმოუჩინონ დაზარალებულთ, მით უმეტეს, რომ ამ ადგილებიდამ დიდძალი სურსათი მოდიოდა რუსეთის დამშეულთათვის 1891—92 წლებში.

*** ტფილისის პოლიციმეისტერს მოუხსენებია გუბერნატორისთვის, რომ ნოემბრის წყალდიდობამ 23,715 მ., და 80 კ., ზარალი მისცა ტფილისის მცხოვრებთაო.

*** „ნოვ. ობოზ.“-ს სწერენ ფოთიდან, რომ ქალაქის გამგეობას განუზრახავს სთხოვოს მთავრობას 200 ათასი მან. შემწეობა, რათა შემდეგში აალდინოს ქალაქს ზარალი წყალდიდობისაგან.

*** ხვალ საღამოს გაგრძელება იქნება „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ ტფილისის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ სხდომისა, რომელზედაც განხილულ იქნება სათავადაზნაურო სკოლის ტიპის შეცვლის პროექტები.

*** ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი პატარა წიგნი „ლოცვები“ გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ლოცვები დაბეჭდილია სურათებით და ქართული ანბანით, 5000 ცალი, აქედამ თავის დროს 3000 ც. სამეგრელოში გაიგზავნება იმ დროს, როცა

## ფელეტონი

### კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება.

დასასრული *)

კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება ჰბადებენ პროლეტარიატს, მამულებს აცლიანო ხალხს ხელიდამ.

რომელი ფაბრიკისა და ქარხნის ძალა აიძულებდა,—შორს რომ არ წავიდეთ მაგალითების საძებნელად,—ჩვენს თავად-აზნაურთა, როდესაც თვალი საქართველოსი, საუკეთესო მამულები ჩვენი ქვეყნისა, მთელი ჩვენი ქალაქები, ბაზარი ადგილები გაეშვეს ხელიდამ? რომელი ფაბრიკა და ქარხანა ატანს ამათ ძალასა: ჰგზავნეთ მოსკოვსა და პეტერბურგში კაცები და ჩოქვით შეევედრეთ იქაურს ფულის პატრონებს,—წაიღეთ ჩვენი მამულები და მოგვეცით სამი ღამის სამყოფი ფულიო? განა ფაბრიკები, ქარხნები, მრეწველობა, კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება რამე შუაშია, როდესაც ჩვენი დიდრონი მამულების პატრონები ქეიფებაში სჭამენ თავის მამულებს, შემდეგ რჩებიან პროლეტარიათ და მერე მიდიან ჩაფრებათ, გოროდოვოებათ, ოკოლოდოჩნებათ, ურიადნიკებათ რომ ამით შეინახონ თავისი თავიცა და სიმშილისაგან მიხრწნეული ცოლ-შვილიცა?!.

დიახ, უმამულოთ, ბოგანოთ, პროლეტარიათ ძველადვე იყო დარჩენილი მეტი წილი კაცობრიობისა და ეს მიიღო დღევანდელმა კაპიტალიზმმა და კაპიტალურმა წარმოებამ ძველი ცხოვრებიდამ, როგორც ნაყოფი ძველი სოციალური წყობილებისა. და ამ უმამულო კაცობრიობას, დარჩენილს უსახსროთ, გაუღეს კარი ფაბრიკამ, ქარხანამ და ამგვარებმა და მისცეს სახსარი თავის რჩენისა.

განა ვინ მიდის ფაბრიკებში თავის შესაფარებლად?—სწორედ ის, ვისაც სხვა სახსარი, ან უკეთესი ამაზედ სახსარი ცხოვრებისა არ დარჩენია. მიდის უმამულო, ბოგანო, უბინაო, საქმეს მოწყვეტილი. ფაბრიკები უჩენენ ამათ საქმეს, ლუკმა პურს, და დღეს სწამებენ მის ძალას—კაპიტალიზმს, კაპიტალურს წარმოებას, რომ ქვეყანა გაუშვა უმამულოთ, ჰბადებს პროლეტარიატსაო.

დიახ, ხშირია, რომ მამულისა, ოჯახის პატრონი ანებებს ოჯახს, მამულს თავს და მიდის ქარხნებსა და ფაბრიკებში სამუშაოდ. მაგრამ, რათ? მიტომ, რომ ან მამული აქვს მცირე, რომ არა ჰყოფნის მთელს ოჯახს, ან ოჯახს აწევს ვალი და მეოჯახეობით ვერ გაუსტუმრებიათ მოვალენი, ან არა და შინ მუშაობისაგან ფაბრიკაში მუშაობით უფრო მოგებასა ჰხედავს თავისი საქმისათვის...

ახლა ავსწონოთ, რა უფრო ცუდია ჩვენთვის: ისა, რომ სრულიად ავიცილოთ კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება, თუ ისა რომ, თუნდა შინაური კაპიტალიზმიც არ იყვეს, შემოვიდეს ჩვენში უცხო კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება მაინცა.

რომ ჩავაკვირდეთ საქმეს კარგათა, ვნახავთ, რომ ჩვენს მდომარეობაში, არამც თუ შინაური კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება, თვით უცხო კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოებაც სასარგებლოა ჩვენგვარი ეკონომიურად დაცემული ერისათვის. ვმრავლდებით, ხარჯი გვემატება. ყველა სულდგმულს უნდა ცხოვრება. რითი უნდა ეპატრონოს ამ გამრავლებას? ცოდნა არ არის, უშვერება თავიდამ ბოლომდისინ გათქორილია ჩვენს ძვალსა და რბილში. სამუშაო არ არის. უნდა გაუძღვე ხელმწიფესაც, ბატონსაც, ცოლსაც, შვილსაც, მტერსაც, მოკეთესიც, მკვდარსაც, ცოცხალსაც, ღვდელსაც, სალოცავსაც, სოფელსაც, დალაქსაც, მეველესაც, მწყემსსაც და ათასს ამგვარებსა. უშვერებისა გამო მამული ხდება თან-და-თან უნაყოფო, რაკი აქვს ხმარება და მოვლის ცოდნა არ არის. რა რჩენია აქ ხალხს? ან მალტუზიანობა, ან ის, რასაც თავისი უშვერებისა და მამულის სიმწირისა გამო სჩადიან ხევსურები; ან არა და აყრა და გადასახლება უცხო ქვეყნებში, ან გაწრიოკება და გადაშენება, რაც მოსვლია მრავალს ისტორიულს ხალხს, რომელიც დროზედ ვერ შესდგომია სამკვიდროთ საქმის დაჭერას.

აი ამ დროს გეშველება უცხო ტომის კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება, გიჩენენ სამუშაოს. აქ რჩება იმდენი მუშა ხელი შინ, რამდენიც საჭიროა შინაური საქმისათვის, დანარჩენი მიდის ფაბრიკებში, ზავოდებში სამუშაოდ. შემოაქვთ მუშათ შინ ფული, აწოდებს ოჯახს საზრდოს, სახსარს. თუ არა თავს მაინცა და მაინც აშორებს ოჯახს და არ ეცილება იმას ლუკმა-პურს. ეს ცოტაა. აქ ჰხედავს ეს ოჯახიდამ გამოსული მუშაკი ათასთა საოცართა საქმეთა: მანქანებათა ძალას, მოქმედებას, ელექტრონის ძალას, ღაზის ძალას, წყლის ძალას, მეხანიკას. ამასთან ჰხედავს მცოდნე ხალხს, ესმის ამ ხალხის მსჯელობა, ლაპარაკი; ჰხედავს ტეხნიკას, წყობილებას, ესენი უხელენ ამას თვალს. ის ჰხედავს, რომ აქ არც საქმეა ისეთი, რომ კაცი ვერ მიხვდეს; არც კაცნი არიან ისეთნი, რომელნიც გონით ამათზედ მაღლა იდგნენ: აქ არის მხოლოდ ცოდნის ძალა, ტეხნიკა, შრომა, გამჭრიახობა, საქმის შებედვა, დაწყობილობა, წეს-წყობილება, გამოცდილება. ამითი, გარდა იმისა, რომ შრომის ფასად იძენს, ცოტაა თუ ბევრი, დღიურს და იქნება ხვალის საზრდოსაც,—ის თვითონაც ხდება გაბედული, ეძლევა გონებრივი სიმხნევე, იმედი თავისი თავისა, ეძლევა სურვილი შესწავლისა, მიხვედრისა. გარდა ყველა ამისა, ეღვიძება გრძნობა, რომ ამისი შრომით სხვები მდიდრდებიან, რომ შრომა ამისი ამისივე უნდა იყვეს; რომ ისინი, ვინც ამისი შრომით სარგებლობენ, არ არიან არაფრით ამაზედ უკეთესნი და მეტნი, გარდა ცოდნისა და გამოცდილებისა. ამის გამო ამაში იღვიძებს სურვილი, თუ თვითონ არა, შვილი მაინც გაზარდოს ისე, რომ მისცეს ცოდნა, გამოცდილება, რომ თავისი თავისა, თავისი შრომის პატრონი გახდეს თვითონვე. გარდა ყველა ამისი, შეაქვს ოჯახში, მეზობლობაში თუ ბევრი არა, ცოტა მაინც თავისი გამოცდილება, თავისი ცოდნა, თავისი მსჯელობა. ყველა ამითი ეძლევა ოჯახს სახსარი გააუმჯობესოს თავისი შეძლება-ქონების მხრივ, მისცეს შვილთ სწავლა, აქციოს ისინიც კაცად; ეხსნება ხალხს გონი.

ამავე დროს ის ფული, რაც ამ ფაბრიკებისა და ამგვარი საქმეების პატრონს უნდა ჩაეყარა უცხო ქვეყნებში, რჩება ჩვენში, რჩებათ მუშაკთ, ხელოსანთ, პურისა, ღვინისა, ხორაგეულის პატრონთა; ემატება ხვნა-თესვისა და სხვა რიგი წარმართობის პატრონთა. რაკი ეძლევა გასავალი და ემატება ფასი ყოველსავე ნაშრომს, მშრომელი უმატებს საქმეს *), საქმე უმატებს სარჩოს, სარჩო აძლევს ღონეს სწავლა-განათლების შეძენისას, სწავლა-განათლება ასწავლის თავისა და მამულების მოვლას, ქვეყნის პატრონობას, თავისი ღირსების ცნობას და დაფასებას, და სხვა და სხვა.

ყველა ამ ჩვენი ნალაპარაკევიდამ ცხადია, რომ ჩვენთვის კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება აუცილებელი საჭიროა, თუ გვინდა ვიხსნათ ჩვენი თავი ჩვენი უშვერებიდამ, ჩვენი გაჭირვებიდამ და არ გავხდეთ მსხვერპლი ჩვენი უმეცრებისა და სიღარიბისა. და ესეც ცხადია, რომ უცხო ქვეყნების კაპიტალიზმსა და კაპიტალურს წარმოებას გვირჩევნიან ჩვენი საკუთარი კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება, რადგან ყველა მოგება რჩება ჩვენსავე ქვეყანაში და

*) იხ. „ივერია“ № 276.

*) იხილე ჩემი წერილები „კაცობრიობა და ეროვნება“.

სხვა სახალხო წიგნაკებიც დაიბეჭდებიან, რომელნიც დასაბეჭდად უკვე მომზადებულია.

ლოცვანი 22 გვერდია და ფასად 5 კაპ. ღირს.

⁂ მივიღეთ ისტორიული მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა „თავდადებულნი ქართველნი“, საყმაწვილო და სახალხო წიგნები, № 2. წიგნში 32 გვ., შიგ ჩართულია 10 სურათი, ღირს ორ-შაურად.

მომავალის 1896 წლის განმავლობაში დაიბეჭდება: „თავდადებულნი ქართველნი“, წიგნი მეორე. „აკიდო“, ანუ საყმაწვილო და სახალხო მოთხრობანი. „მეგობარნი და მტერნი მოსავლისა“, ანუ სასარგებლო და მავნე ცხოველები. «თამარ-მეფე», ისტორიული მოთხრობა. ყოველი წიგნი იქნება დასურათებული რვა სურათით და ეღირება ორი შაური.

## ქალაქის საბჭო.

21 დეკემბერი.

წარსულ სხდომის ოქმის წაკითხვისათანავე საბჭოს მოხსენდა განცხადება ხმოსანის შაჰაზიზოვ-კამსარაკანისა იმ მამულების შესახებ, რომელიც პრიკაზში იყო დაგირავებული, და აგრეთვე ამ მამულების მფლობელთა საერთო თხოვნა. ამ თხოვნით 81 ქალაქის მამულის პატრონი, რომელთა მამული პრიკაზშია დაგირავებული, სთხოვდნენ ქალაქის თვით-მმართველობას, რომ გვირგვინის კურთხევის დღესასწაულზედ შუამდგომლობა დაეწყოთ უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ჯარიმა და შეუტანელი გარდასახადი, სესხის მოცემის დღიდგან დღევანდლამდე შეწერილი, გვეპატიოს, და 30 წლის ვადა მოგვეცეს ფულის გადახდისათ.

ხმ. შაჰაზიზოვი. თითქმის იმასვე იმეორებს, რაც თხოვნაშია, თავისს მხრივ დასძენს, ეს მამულები ისეთს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომ თუ გაიყიდა, პრიკაზის სალიკვიდაციო განყოფილებაც ზარალსა ჰნახავს და მამულის პატრონსაც არა დარჩება-რა. მამულს იმდენი ჯარიმა და შეუტანელი გარდასახადი შეჰკეცვია ზედ, რომ ათას თუმნად დაფასებული მამული ეხლა ორმოც, სამოც თუმნად ისყიდება. მე მივმართე და არ მაცოდინეს, რა მდგომარეობაშია ეს საქმე, კარგი იქნებოდა კომისია ამოგვერჩია და მიგვენდო ამ საქმის გამო შუამდგომელობის დაწყება. ეხლა სალიკვიდაციო განყოფილება მამულის პატრონთ სესხისას ხდევინებს 5% და $4^{67}/_{100}$% თავნის გარდასახდელს. ეს სესხის სარგებელი უნდა შეამცირონ 5-დგან 3-ზედ.

მ. ი. თამამშევი. კომისსია ამოვირჩიოთ და იმან შეიმუშაოს, რა შეღავათი უნდა ვთხოვოთ მთავრობას. აქ გვირჩევენ, სამოწყალოდ გავიწოდოთ ხელიო და ჯერ ჩვენ-კი ისიც არ ვიცით, რაგვარი მოწყალებაა ჩვენთვის სასურველი.

ხმ. ხუდადოვი. არ მესმის, სათხოვნელ-სავედრებელი რა გვაქვს და ან რა გვაძლევს ზნეობრივს ძალას ასეთის თხოვნა-ვედრებისას. ფული აუღიათ სესხად, შესატანი დროზედ არ შეუტანიათ, პირობა არ შეუსრულებიათ, თავისის დაუდევრობით ვალში ჩაფლულან და ეხლა ჩვენ ჩვენთა მფლანგავ მამა-პაპათა გამო თხოვნა-ვედრება უნდა დავიწყოთ უმაღლესის მთავრობის წინაშე? ეს მგონი ვერაფერი სამართლიანი და საკადრისი საქმე იქნება საბჭოსათვის.

საბჭომ ერთ-ხმად დაადგინა ამორჩეულ იქმნას კომისია და ამ კომისიას მიანდოს გამოკვლევა და გამოძიება, რა შეღავათია საჭირო, რომ ისე იქმნას შუამდგომლობა დაწყებული. კომისია იქავე ამორჩეულ იქმნენ ხუთის კაცისაგან: ბ-ნნი შაჰაზიზოვი, დ. ზ. ყორღანოვი, შერშენკო, ტერ-ასატუროვი და ექ. კოჩორიანცი.

წაკითხულ იქმნა თხოვნა კუკიის აგარაკის მეიჯარადრეთა იმის შესახებ, რომ აგარაკის იჯარის ვადა გაგვივიდა და ისევ ჩვენ მოგვეცით ეგ აგარაკი იჯარითაო. საბჭომ ერთხმად დაადგინა: უწინდელსავე მეიჯარადრეთ მიეცეთ იჯარით კუკიის აგარაკი სამის წლით, წელიწადში 1,360 მანეთად.

დასასრულ საბჭომ მოისმინა ქალაქის გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქის გამსესხებელი კასსა ლომბარდად იქმნას გადაკეთებული. ეს გამსესხებელი კასსა დაწესდა იმ საუნივერსიტეტო თანხით, რომელიც ქალაქსა აქვს და რომელსიც კასსა ყოველ წლიურად ცოტ-ცოტა ცდილობდა. ქალაქის გამგეობა თავისს მოხსენებაში შუამდგომლობდა, რომ კასსას ცოტაოდენს ხანს ვადროოთ ამ ფულის გარდახდა, ლომბარდად გარდავაქციოთ იგი, ეხლა თუ მხოლოდ ოქრო-ვერცხლსა და თვალ-მარგალიტს იღებს გირაოდ, ნება მივცეთ, რომ ლითონის ნივთეულობანიც დაიგირავოს და 10% სარგებელი ახდევინოს დამგირავებელს წლიურად, მხოლოდ 1% დაფასების ჯამიდამ დაზღვევისათ.

მ. ი. თამამშევი. აქ დღეს ლაპარაკი ჩამოვარდა, რომ გვირგვინის კურთხევისა გამო პრიკაზში დაგირავებულ მამულების შეღავათი ვსთხოვოთ უმაღლესს მთავრობასაო. ზოგიერთ ხმოსანთა შორის ის აზრი გამოითქვა, რომ თუ თხოვნით მივმართავთ უმაღლესს მთავრობას, ისევ ჩვენს ქალაქში უმაღლესის სასწავლებლის დაარსება ვიშუამდგომლოთო. შეიძლება ეს აზრი განხორციელდეს და სასურველია, რომ საუნივერსიტეტო თანხა რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს და ამიტომ, ჩემის აზრით, არ უნდა დავთანხმდეთ, რომ ამ თანხას გამსესხებელი კასსა ატრიალებდეს. სასაცილოც არის, რომ ასეთის დანიშნულების თანხა გამსესხებელი კასსის სატრიალებელი ფული შეიქმნას.

საბჭომ, მცირეოდენის ხნის კამათის შემდეგ, ხმის უმეტესობით დაადგინა: ლომბარდი დაარსდეს და გირაოდ მიიღებოდეს ლითონის ნივთეულობანი: სამოვრები, ქვაბები და სხვ.; გაცემულ სესხზედ სესხის აღებთ, 10% მაგიერ, 9% გარდახდეთ და 1%-იც დასაზღვევი. რაც შეეხება ქალაქის გამგეობის იმ წინადადებას, რომ საუნივერსიტეტო თანხის გარდახდა ედროვოს გამსესხებელს კასსასაო, როდესაც ამ საგანს ფეხზედ ადგომით უყარა კენჭი ქალაქის მოურავმა, ფეხზედ წამოდგა მხოლოდ... ორი წევრი ქალაქის გამგეობისა, არც ერთი ხმოსანი ადგილიდამ არ დაძრულა.

## უცხოეთი

ამერიკა. სენატორმა გრეიმ, რომელიც მეგობარია პრეზიდენტის კლიველენდისა, ასეთი აზრი გამოსთქვა ვენესუელას საქმის განსახილველად დანიშნულის კომისიის შესახებ. გრეი სრულიად უარსა-ჰყოფს იმ ხმებს, რომ ვითომ ამ კომისიას ნება ჰქონდეს საზღვარი გაიყვანონ ბრიტანიის გვიანოსა და ვენესუელას შუა. კომისიის დანიშნულებაა მხოლოდ გამოირკვიოს, მართალია თუ არა რომ ინგლისსა სურს თავის სამფლობელოს გადიდება და სამზღვრის გამო ატეხილის დავით უნდა მხოლოდ ისარგებლოს. თუ აღმოჩნდება, რომ ინგლისს არაფერი ბოროტი განზრახვით არ აუტეხია დავა სამზღვრების შესახებ, მაშინ მონროეს დოქტრინას ადგილი აღარ ექმნება. თუ კომისიის გამოკვლევამ აღმოაჩინა ინგლისის ბოროტი განზრახვა, მაშინ შეერთებული შტატების სურვილზეა დამოკიდებული, თუ ნებავს განზედ გადგება და გულგრილად დაუწყებს ყურებას, მათი უნცროსი დის დაჩაგვრას.

—

ტაიმსს ატყობინებს ნიუ-იორკის კორესპონდენტი, რომ ნიუ-იორკის ბირჟა დაწყნარდა და ფასიანმა ქაღალდებმა აიწია, ნიუ-იორკის ბანკების წარმომადგენელთა მეცადინეობის წყალობითო.

—

**შეერთებული შტატები.** მასსაჩუზეტის სენატორს ჰელს შეუტანია სენატში კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ ზღვის ნაპირების დასაცველად უნდა გაკეთდეს ექვსი ახალი სამხედრო ხომალდი. თითო ხომალდზედ დაიხარჯება ოთხი მილ. დოლ. ამასთანავე უნდა გაკეთდეს 25 ნაღ-

---

ჰმარდება ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს.

თუ ჩვენ მხნედ და გაბედვით არ შეუდექით კაპიტალიზმს და კაპიტალურს წარმოებას, მოგველის ის, რაც ყველა იმ ხალხთ, რომელნიც მჟვერი ხელითა და გონით დარჩენილან მარტო მიწის ამარა: „გავხდებით სრულნი მონანი სხვებისა, მოგველის დაკარგვა მიწა-წყლისა და ენება გადაშენებაცა. ვის არ ახსოვს,—გარდა სხვა წერილებისა და პროექტებისა, რომელნიც ჩვენს შესახებ რდგებოდნენ და რდგებიან,—წერილები მორდოცევისა თვით იმისთანა დაწინაურებულს ჟურნალში, როგორიც იყო ნეკრასოვისა, სალტიკოვისა და მახაილოვსკის ხელში „Отеч Зап“ ბატონი მორდოვცევი ემოდ ხსენებული ჟურნილის პირით ქადაგებდა ჩვენს აყრას, რაკი ჩვენ არ ვიცოდით ჩვენი ქვეყნის ყადრი, და ჩვენს ადგილას სხვების დასახლებას, რომელნიც იმისი აზრით უფრო კარგად მოიხმარებდნენ ჩვენი ბუნების სიმდიდრეს.

ბოლო ყველა იმ ხალხისა ეს არის და უარესიცა, ვინც არ შეიარაღდება კაპიტალთან, კაპიტალის ბრძოლით, სწავლასთან სწავლით, ტეხნიკასთან—ტეხნიკით. ყველა კაცში ცოტად თუ ბევრად ჰზის მორდოვცევი და ამგვარები.

IV

თუ ამ მხრივ შევხედეთ საქმეს, კაპიტალური წარმოება, კაპიტალიზმიში არ უნდა იგულისხმებოდეს არც მაში, რომ არიინ ნაყოფი ახალი ერასი, არც ნაქირაეები მუშებით საქმის წარმოებაში, არც მარტო მექარხნობასა და მეფაბრიკობაში. უკეთუ კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება ნაქირავები მუშების წარმოებაში ვიგულისხმეთ, მაშინ ამ ტერმინოლოღიას შეჰყავს შეცდომაში აზრი ნამდვილი კაპიტალიზმისა და კაპიტალური წარმოებისა. რომ კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება იგულისხმებოდეს მიჟი, რომ საქმე სწარმოებს კაპიტალის ნაქირავები მუშით, მაშინ სხვა ყველა ელემენტს კაპიტალისას, ურომლისოდაც საქმის წარმოება და მოქმედება შეუძლებელია, როგორც მაგალითად იარაღია, შენობა და სხვა ამგვარნი,—თითქო ირიცხება კაპიტალური წარმოებიდამ, კაპიტალიზმიდამ, კაპიტალიდამ. მაგრამ იმასაც რომ დავთანხმდეთ, რომ ეს ტერმინი ჰსახავს კაპიტალიზმს და კაპიტალურს წარმოებას, ნაქირავები მუშეიით საქმის წარმოებაში,—მაინც და მაინც არც ამგვარს კაპიტალიზმს დაედება ბრალად, რომ ამან დაჰბადა უმამულობა, ბოგანობა, პროლეტარიატი და სხვა.

და თუ კაპიტალიზმს, კაპიტალურს წარმოებას მივეცით მისი ბუნებრივი მნიშვნელობა, როგორც მე ამ წერილში ვუჩვენე მკითხველს, მაშინ კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება მისი ძალა და ძლიერება.

რომ შევხედოთ ნათელი თვალით და აწონილი გონით, თუნდა იმ სახითაც რომ ვიცნოთ, რა სახითაც უყურებენ ამას ზოგი ეკონომისტნი, მაინც კიდევ ვერ ვიტყვით მას, რომ კაპიტალიზმს, კაპიტალურს წარმოებას მოეტანოთ ვნება კაცობრიობისათვის. ამისი თქმა იქნებოდა მეცნიერება-კი არა—უმეცრება, საქმის წინ თვალების დახუჭვა. ამის მთქმელთ მეცნიერთა და მეცნიერებას მაშინვე უნდა ეკითხოს შემდეგი: მაშ რითი და ვისით მოხდა ესეთი დამორჩილება ბუნებისა, ის საოცარნი საქმენი, რომელთაც დღეს სჩადის კაცი? რითი და ვისით შესდგა დღევანდელი მეცნიერება, დღევანდელი ტეხნიკა? ვისით და რითი დაიმორჩილა კაცმა ზღვა და ხმელეთი, ცა და ქვესკნეთი? რითი და ვისით გამოვიდა კაცი პირუტყვული მდგომარეობიდამ? რატომ ველურნი ხალხნი, რომელთაც კაპიტალი და კაპიტალური წარმოება შერდგება შურდულისა და ტალის ცულიდან, და ნაქირავები მუშებისა და ფაბრიკებისა არა გაეგებათ-რა,—არ ავიდა იმ ევოლიციის წერტილამდის, სადამდისაც კულტურის ხალხნი? რატომ ეს ველურნი ხალხნი არა მრავლობენ, არა ვითარდებიან გონებით სხვა დაწინაურებული ხალხებივით? და სხვა და სხვა.

საბუთად იმისა, რომ კაპიტალი, კაპიტალური წარმოება არიან მავნებელნი მოჰყავთ ისა, რომ არისო ბრძოლა შრომისა და კაპიტალს შორისო.

თქმა: „ბრძოლა შრომისა კაპიტალთან“ არის თქმა შემცდარი. შრომა და კაპიტალი, კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება არიან ღვიძლნი განუყოფელნი ძმანი. უკაპიტალოთ, უკაპიტალიზმოთ შრომა არის ის, რაც უბრჭყალო ლომი, უხორთუმო სპილო, კაპიტალი ხომ უშრომოთ წარმოსადგენიც არ არის, გარდა იმ ბუნებითი კაპიტალისა,—თუ იმას კაპიტალობა ეთქმის,—რომელშიაც კაცის ხელი და გონი არ ურევია. ბრძოლა კაპიტალთან, კაპიტალიზმთან-კი არა აქვს შრომას, აქვს ბრძოლა შრომის პატრონს კაპიტალის პატრონთან. კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება-კი არ უნდა მოისპნენ, რადგან ამათი მოსპობა იქნება ხელების დაჭრა, გონის მოღება მშრომლისა,—საბრძოლველი და მოსასპობი არის ის იურიდიული წყობილება, რომელიც ამკვიდრებს და ამაგრებს იმ წესს, რომლითაც ყველა დიდი კაპიტალის პატრონს ეძლევა ძალა შთანთქას თავისზედ სუსტი კაპიტალი და უწყობს ხელს კაპიტალის იმგვარს მომდინარეობას, რომლითაც კაპიტალი იზიდება თვითო ოროლა ხელისაკენ და გროვდება თვითო ოროლა კაცის ხელში.

სწორეთ აი ამ გარემოებას არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება უკეთესთა ეკონომისტთა, დ ალიარეს რომ თვითო კაპიტალსა აქვს ეს თვისება, როგორც სხვა ყველა ბუნებრივ ძალას, რომ იქით იზიდება, სადაც მეტს კაპიტალსა აქვს თავი მოყრილიო. არა, თვითონ კაპიტალს-კი არა აქვს ეს თვისება, ამგვარს მის მიმდინარეობას ხელს უწყობს და აძლევს ძალას ის იურიდიული წეს-წყობილება, რომელიც მშრომელს-კი არ აღიარებს თავის შრომის პატრონათ,—ფართო გზას აძლევს კონკურენციას, აძლევს დიდი კაპიტალის პატრონს დიდს თავისუფლებას, და უშლის ხელს თავისუფლათ მასთან ბრძოლას. მოშალეთ ეს წესი. მოაწყეთ კანონ-წყობილება ისე, რომ მშრომლის ნაყოფი არ გადადიოდეს სხვის ხელთ, მაშინ ჰნახავთ, რომ კაპიტალს თავის თავად სრულიადაც არა აქვს ის თვისება, რომ ერთს ადგილს იყრიდეს თავს: ის ჩავარდება ნამდვილს კალაპოტში და, თვითო-ოროლა ხელისკენ-კი არ გაიწევს, დატრიალდება მშრომელთა ხელში, დანაწილდება თანაბრად მშრომელთა შორის. ის თვისება ბუნების ძალათა, რომელზედაც იჩვენებიან საუკეთესო ეკონომისტნი,—რომ ყველა ძლიერი ძალა სძლევს თავიზედ უძლურს და ჰნთქავს მას,—სწარმოებს მაშინ, მინამ აქვს მას ბრმა მეხანიკური მიმდინარეობა და მინამ მათს მომდინარეობაში არ გაერევა გონი კაცისა. მაგრამ აქაც, ჩვენათ უნდა დაუმატოთ, ამ ბრმა მეხანიკურს მსვლელობაშიც არ არის დაუსრულებელი ძლევა ძლიერისაგან უძლურისა. თვით ბრმა ბუნებაშივე არის იმგვარი კანონი და ძალა, რომელიც შლის სხეულს, როდესაც მივა იგი ერთს რომელსამე ზომაზედ და აღარ უშვებს, რომ იგი გადვიდეს ამ ზომას. და იქ, როგორც ზემოთაც ითქვა, სადაც გაერევა კაცის გონი, იქ ალაგი აღარა აქვს ბრმა მეხანიკურათ საქმის მიმდინარეობას.

რაკი დღევანდელს წყობილებაში კონკურენციას აქვს ფართო გზა, რაკი კაპიტალი იყრის თვითო ოროლა კაცის ხელში თავს, რაკი არის გამწვავებული ბრძოლა კაპიტალის პატრონთა შორის, რაკი ასრეა დაყენებული საქმე, რომ, თუ მეარ შთაგნთქე, შენ შთანმთქამ მე,—კაპიტალის პატრონები აღარა ჰზოგამენ არავითარს ღონეს, რომ ძლევა დარჩეს ამათ. რომ უფრო გაძლიერდეს კაპიტალის პატრონი, ის ატანს ძალას

მიანი ხომალდი, რომელთაგანაც თვითო 170,000 დოლ. ღირება.

—

**ინგლისი.** გაზეთების სიტყვით, ლონდონის ოფიციოზურს წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ძნელია-მშვიდობიანობა იქმნას ჩამოგდებული ინგლისსა და შეერთებულ შტატების შუა, როდესაც კომისია შეუდგება ვენესუელლას საზღვრების გამიჯვნას. გაემგზავრება თუ არა კომისია თავისს დანიშნულს ადგილზედ, ბრიტანიის მთავრობა მაშინვე ინსტრუქციას გაუგზავნის თავისს მუდმივ მხდრობას გვიანაში, რომ დაიცვას დიდ ბრიტანიის ინტერესები და ამ ინტერესების მიხედვით იმოქმედოს.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ეხლანდელი ადამიანი უფრო დიდია ტანად, თუ უწინდელი? ერთობ ტანადობა აკლდება ეხლანდელს ადამიანს, თუ ემატება? ამაზედ არა ერთხელ ატეხილა საუბარი და ეხლა ანტროპოლოგიის წყალობით შესაძლოა კაცმა ზედ-მიწევნილი პასუხი მისცეს.

დღეს აქამომდე ხალხში დარჩენილია, ვითომც უწინ უშველებელის ტანის კაცები-ყოფილან. ზღაპრები, თქმულობანი, ზეპირ სიტყვაობანი ყველა თესლის ერისა მოგვითხრობენ, ვითომც ერთს დროს უზარმაზარის ტანის კაცნი არსებულან და ეხლანდელნი იმათთან ქონდრის-კაცებად თუ ჩაითვლებიან. ამისთანა ზღაპრების გავლენა ძველს ლიტერატურასაც ამჩნევია. ჰომეროსი, გეზიოდი და ვირგილიი ძველ კაცებს დიდ ტანიანად იხსენიებენ. პლინიუსი ამბობს, რომ ჩემდროინდელნი კაცნი ბალღები არიან, წინანდელ კაცებს რომ შევადაროთო. ნეტარ ხსენებულს ავგუსტინს ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ადამიანის კბილი, რომელიც ეპოვნა უტკიის წყლის პირზე და რომელიც იმოდენაა, რომ ეხლანდელის კაცის ასი კბილი გამოვაო. ეჭვი არ არის, რომ ეგ კბილი ადამიანისა არ არის და ეკუთვნის რომელსამე დიდს პირუტყვს, რომელიც ყოფილა და ეხლა აღარ არის და რომლის ძვლები-კი მიწას შეუნახავს. მაგალითებრ, მიწაში ჰპოულობენ მამონტის და სხვა ამისთანა უშველებელის პირუტყვის ძვლებსა და ადამიანის ძვლად მიიჩნევენ ხოლმე. ამისთანა შეცდომანი არა ერთხელ გამოუმჟღავნებიათ მეცნიერთა. მაგალითებრ, 1577 წელს ბაზელის დოსტაქარს პლატერს, ძალიან სახელოვანს თავისს დროს, მიუტანეს თურმე გამოსაცნობად ამოთხრილი მიწიდამ ძვლები რაღაც უშველებელის პირუტყვისა და იმან ასწერა ვითომც ადამიანის ძვლებია და მის პატრონს სამი საჟენი სიმაღლე ჰქონია ტანისა. მეშვიდმეტე საუკუნეში დოსტაქარი მაზიურიე პარისში აჩვენებდა თურმე ძვლებსა კიმერთ მეფისას, რომელსაც ოდესღაც უომნია რომაელებთან და ის ძვლები-კი ამოთხრილი ნაშთი ყოფილა მასტოდონტისა, აწ გარდასულ უშველებელის პირუტყვისა. ერთს ვიღაც შლეიხერს იმავ საუკუნის დასასრულ აუწერია პატარა ბაშვი, რომელიც ვითომ წარღვნის დროს დამრჩვალიყო, ისკი არა თუ—რაღაც უშველებელის ჯოჯოს ძვლები გამომდგარიყო.

ეხლანდელის მეცნიერების წინსვლამ და გამარჯვებამ შეუძლებლად გახადა ამისთანა შეცდომანი და ამასთან ერთად შეჰმუსრა რწმენა მისი, რომ ვითომც უწინ ადამიანი უზარმაზარის ტანისა ყოფილა. ჟოფრუა სენტ-ილერი მარტო იმ საბუთით, რომ გარეული პირუტყვი შინაურ პირუტყვზე მეტნაკლები არ არის ტანით, ამტკიცებდა, რომ ახოვანება ადიმიანის ტანისა თითქმას ერთი და იგივეა მას აქედ, რაც ადამიანი გაჩნდა ქვეყანაზე. 1859 წელს ზილბერმანი ამავე აზრს ემოწმა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინანდელისა-კი არ ვიციო და მას აქედ-კი რაც ისტორიამ შენიშნა ქვეყანაზედ ადამიანი, დღეს აქამდე ადამიანის ახოვანებას არც რამ დაჰკლებია და არც მოჰმატებიაო. საბუთად ამისა მოჰყავს ეგვიპტის მუმიები სხვათა შორის.

მეცნიერთა ორფილმა, როლლემ და მანუვრიემ უტყუარი საშუალება აღმოაჩინეს, რომ ძვლების დიდ-პატარაობის მიხედვით ზომა ტანისა შეტყობილ იქმნას. ამათ დაჰზომეს ადამიანის ძვლები, რომელიც ეკუთვნის პირველ ყოფილს, ისტორიაზე უწინარეს ხანას ადამიანის ცხოვრებისას, სახელდობრ, ეგრედ წოდებულს „ქვის საუკუნეს“*) და დაასაბუთეს, რომ სიდიდტანემ ადამიანისამ არამც თუ იკლო, არამედ იმატა კიდეც იმ ძველის-ძველ დროს აქეთ. ძვლები ადიმიანისა ეგრედ წოდებულ „არქეოლოგიურ“ ეპოქისა **) აგრედვე „ნეოლიტიურის“ ***) ამტკიცებს, რომ იმ დროინდელი ადამიანი ეხლანდელზე ტანით უფრო მომცრო ყოფილა. უფრო შორს რომ წავიდეთ, უღრმეს საუკუნეებში და მივმართოთ „მესამეულს“ ეპოქას (Третичная эпоха) და მაშინდელ იარაღის სიპატარავე სახეში მივიღოთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მაშინდელი ეხლანდელის ადამიანის წინაშე სწორედ ქონდრის-კაცი ყოფილა. მაგრამ იყვნენ ამ მესამეულ ეპოქაში ადამიანები თუ არა—ჯერ ეს საცილობელი საგანია მეცნიერთა შორის, რადგანაც ამ ეპოქის ძვლები ჯერ არსად არ უპოვნიათ და ის ნაშთები ახეთქილის და დამწვარის კაჟისა, რომელიც ამ ეპოქას ეკუთვნის, ადამიანის ხელით ნაკეთებად არავის მსწავლულს არ უცვნიაო.

ყოველ შემთხვევაში მესამეული ეპოქა რომ თავისთვის დავტოვოთ და მივმართოთ უფრო მახლობელს, რომელმაც საკმაო საბუთები მოგვცა საქმის გამოსარკვევად, მაგალითებრ, ძვლები, ნახატები, ჭურჭელი და მებრვე სხვა, შემდეგი უნდა ვირწმუნოთ: სულ ცოტა რომ ვთქვათ, ამ 200,000 წლის განმავლობაში მაინც ორთა შუა ახოვანებამ ადამიანის ტანისამ იმატა და არა იკლო რაო. თუ ესე წავა კვლავაც საქმე, ბუმბერაზ ტანისანი იმედია მერმისში მოევლინონ ქვეყანასაო. ხოლო იმათი ძებნა წარსულში, ჩვენს წინად.—უქმი შრომააო. ბუმბერას ტანოვანობა უწინდელებისა ზღაპარიაო. (ვ. ი. ღ.)

(* „ქვის საუკუნეს“ იმიტომ ეძახიან, რომ ამხანაში ქვა იყო ერთად-ერთი საგანი, რომლისაგანაც პირველ ყოფილი ადამიანი იარაღს იკეთებდა.

**) არქეოლოგიური ეპოქა იგი უძველესი ხანაა ქვის საუკუნისა, როცა ნახეთქი ქვა, სხვა ფრივ გაუკეთებელი, იარაღობას უწევდა ადამიანს.

(*** ნეოლიტიური ეპოქა ბოლონდელი ხანაა ქვის საუკუნისა, როცა ქვის იარაღს ეტყობა, რომ გათლილია და გაკეთებული.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი გურიელები. ამ გვარეულობის წინაპარნი 1469-დამ 1823 წლამდე გურიის დამოუკიდებელ მთავრებად იყვნენ.

უმაღლესის ბრძანებით 20 იანვარს 1843 წლისა განსვენებულის გურიის მთავრის თავადის მამიას ასულთ—კნ. ეკატერინე ჩიჩუასასა და მისს დას, უმაღლესის სასახლის ფრეილინას, ქნიაჟნა ტერეზია გურიელის ასულს უგანათლებულესობის ტიტული მიეცათ, ხოლო ტერეზიას მიეცა ნება გათხოვების შემდეგაც ეტარებინა ეს ტიტული.

6 დეკემბერს 1850 წელს უმაღლესად დამტკიცებულს გურიის თავადთა სიაჯასხო სი ში აღნიშნულნი არიან თავადი გურიელები: 1) პოდპორუჩიკი მალაქია ქაიხოსროს ძე, ცოლი ამისი თამარი, შვილნი ამათნი: ქაიხოსრო და კონსტანტინე; 2) პორუჩიკი დიმიტრი ქაიხოსროს ძე; 3) პორუჩიკი გიორგი ლევანის ძე, ცოლი ამისა ნინო, შვილნი ამათნი: ალექსანდრე, მიხეილი, სოფიო, ბაბილინა და ემილიანა; 4) პოდპორუჩიკი დავით კოსტანგის ძე, ცოლი ამისი ეკატერინე, შვილნი ამათნი: მამია, ამბაკო, ილია, ორბელი, კოსტანგი, ივლიტა და სოფიო; 5) გიორგი დავითის ძე, ცოლი ამისი მაკო, შვილნი ამათნი: დავით, ალექსანდრე და მართა. და 6) პოდპორუჩიკნი გრიგოლ და ლევან დავითის ძენი.

## შემოწირულება.

—

თავ. რაფიელ ერისთავის ფონდის სასარგებლოდ შემოსწირეს:

ილია არსენიშვილმა 1 მ., მიხეილ ედიშეროვმა 1 მ., არჩილ გიორგის ძე აბაშიძემ 1 მ., გიორგი ქრისტეფორის ძე ხუნწარიამ 1 მ., ბატა თოფურიძემ 1 მ., ს. გოცირიძემ 1 მ., იაგორ გრიგორაშვილმა 1 მ., გრიგოლ ჩხიკვაძემ 1 მ., ილიკო ხარაბაძემ 1 მ., ლუკა ეკიზოვმა 1 მ., დომენტი წივწივაძემ 1 მ., ბ. ზ. ფირალოვმა 1 მ., ბესარიონ გოგსაძემ 1 მ., ონისიმე ქუთათელაძემ 1 მ., ფარნა ჯავახიამ 1 მ., ანდრია მითაიშვილმა 1 მ., ლუკა ღლონტიმ 1 მ., რაჟდენ ღვამიჩავამ 1 მ., ფ. გოგიჩაიშვილმა 1 მ., ნიკოლოზ ზაალიშვილმა 1 მ., ოსმან ეფენდიმ 5 მ., ილიკო დურგალოვმა 2 მ., მინაღა ქათამიძემ 3 მ., ტულმაზა ზადე ისუფბეგმა 1 მ., ნ. ბახტაძემ 3 მ., ხასან აღა ჰყონიამ 5 მ., მიხეილ ჩახტარაიშვილმა 3 მ., ავქსენტი გვათუამ 1 მ., ხარალამპოს ფ. ელეფთერიადისამ 5 მ., ხუსეინ აღა ხალვაშიმ 5 მ., გრ. ქარცივაძემ 2 მ., ქართველმა ქალმა 1 მ., ალექსანდრე მებუკემ 3 მ., ნესტორ კუპრეიშვილმა 1 მ., სეფე ივ. მხეიძემ 5 მ., ბესარიონ ხოპერიამ 5 მ., აპოლონ რუხაძემ 1 მ., ვასილ სულაძემ 1 მ., კნ. პრ. შერვაშიძემ 5 მ., პ. მეფისაშვილმა 1 მ., ნ. ოჰანეზოვმა 1 მ., ილ. ანჯაფარიძემ 2 მ., გ. ოჰანეზოვმა 2 მ., უცნობმა 2 მ., მემედ ეფენდი მჟავანაძემ 5 მ., სოლომონ სიმონის ძე საბაშვილმა 3 მ., ნიკოლოზ შანიძემ 1 მ., ლ. ჯაიანმა 1 მ., მელიტონ ანჯაფარიძემ 3 მ., ვასილ მდ—შვილმა 2 მ., ივანე მესხმა 3 მ., ღ. ასათიანმა 5 მ. და სილევან მუმუჯირიმ 2 მ.

—

შემოსწირეს აგრეთვე:

ბესარიონ კალანდაძემ 1 მ., ნიკო გაბუნიამ 1 მ., ბეგლარ მელიამ 1 მ., კოტე ჰანჰეიშვილმა 1 მ., დიმიტრი პაპასქირიმ 1 მ., ალექსანდრე მელიამ 1 მ., აკოფ ასვაცატუროვმა 1 მ., გ. კალანდაძემ 1 მ., დი-

---

მას, რისგანაც უმთავრესად რდგება კაპიტალი,—ატანს ძალას შრომას, აწვება მუშა ხალხს, რომ მათი ოფლით, დაუცხრომელი შრომით გააძლიერონ თავისი კაპიტალი, რომ ამათ შესძლონ ძლევა თავისი მებრძოლი კაპიტალის პატრონებისა. აქ კაპიტალის პატრონი სცდილობს ჯერ ერთი ესა, რომ რაც შეიძლება ნაკლები მისცეს მუშას თავისი შრომის ფასი, რომ დანაშთენი მათი შრომით გააძლიერონ თავისი კაპიტალი. მეორეც ესა, სცდილობს აშრომოს მუშაკნი თუ შეიძლება დღე და ღამ მოუსვენრად და აშრომებენ იმდენს, რისაც ატანა კაცის ჯანსა და გონს არ შნუძლიანთ. სიიაფის გულისათვის ის აშრომებს უძლურთა ქალთა, უსუსურთა ბაშვთა უზომოდ, უჯათოთ. ცხადია, რაც ვნება უნდა მოსდევდეს ამგვარს ქცევას კაპიტალის პატრონების მხრივ არამც თუ პირად მშრომელთათვის, თვით შთამამავლობისთვისაც.

უეჭველია, აქ უნდა გაჩნდეს ბრძოლა. მაგრამ კაპიტალისა და შრომის შორის-კი არა, მშრომელთა და კაპიტალის პატრონთა შორის.

შრომა და კაპიტალი, როგორც ერთსულ და ერთხორც, რომელნიც ძალით დაუშორებიათ ერთმანერთისათვის, ეტანებიან ერთმანეთს შესაერთებლად.

რაკი კაპიტალის პატრონი ჰხედავს ამას, სცდილობს ყოველი თვის ძალით დაამკვიდროს და გააძლიეროს ის იურიდიული წესი, რომელიც აძლევს მას ძალას, და რომლისაც სათავე უგდია ამას ხელთ. დაიშალა ეს წესი, წავა კაპიტალიც თავის ბუნებითს ადგილს, წავა მშრომელთა ხელში.

აი რას და უმთავრესად რა მიზეზით უცხადებს ბრძოლას აწონვილი გონი და სამართლიანობა კაცობრიობისა. აი მიზეზი, რომ ბევრში პრაკტიკა დაშორდა თვით დაწინაურებულს ევროპის ხალხებში თეორიას, თეორიულთა სწავლათა, და ებრძვიან იქ, რომ იურიდიული წეს-წყობა შესცვალონ ეხლავე ისრე, როგორც სასარგებლოთ დაიხახმენ მეტი წილი კაცობრიობისათვის, და არ უცდიან: აცა ჯერ ერთმა ეკონიმურმა სტადიამ ანუ ხანამ გაიაროსო, მერე მეორემ, მერე მესამემ და მერე თვის თავათ მოიემიერებს და კაცთა შორის დადგება თავის თავად სასუფევლის ნეტარების დროვო.

გონს მოსული სამართლიანი კაცობრიობა სცდილობს დაამყაროს ისრეთი იურიდიული წყობა, რომ კაპიტალი გახდეს საყოველთაო, ყოველს მშრომელს ჰქონდეს კაპიტალში წილი თავისი შრომის შესაფერად. სცდილობს შრომა გაანაწილოს საყოველთაოდ და ყველა აშრომოს მაზედ, რისიც ნიჭი და ხალისი აქვს მშრომელს. ამასთან აშრომოს აგებულებითა და გონით იმდენი, რაოდენიც საჭიროა მათი აგებულობისა და გონების სავარჯიშებლად, გასამაგრებლად და წარსამატებლად. აშრომოს ყველანი შეხამებით, რომ გონი და აგებულება თანაბრად მიდიოდნენ სისრულესა და წარმატებაში, რადგან ერთი უმეორეთ არ ივარგებენ. მოაწყოს შრომა ისრე, რომ ამ შრომამ გაანაწილოს და მოჰფინოს შეძლების დაგვარად საყოველთაოდ თანაბრად როგორც კაპიტალი, ისრე ჯანი და ღონე, ახოვნება, მშვენება, ზნეობრივი სიფაქიზე, რომ არ იყვეს დღევანდელივით ხშირი სიღატაკე, სიმშილი, გონჯობა, საჩიჩრობა, უგონობა, უტვინობა, უზნეობა, უჯანობა, უძლურება, უნაყოფობა, არაკაცური გაყრყვნილება, მტარვალობა და სხვა. და რომ გონიერი კაცი ებრძოდეს კაპიტალს, კაპიტალურს წარმოებას, კაპიტალიზმს,—ეს იქნება საქმის მიუხვედრელობა, აუწონრობა. მოისპე კაპიტალი, კაპიტალური წარმოება, კაპიტალიზმი იმ სახით მაინც, როგორც ჩვენ გვესმის ეს და როგორც ბუნებითად არის, და მოისპობა კაცობრიობაც: მას მოერევა ნადირიც, ჰაერიც, წყალიც, მიწაც, დარიც, ავდარიც, სიცივეც, სიცხეც და სხვა.

საჭიროა მხოლოდ მოისპოს ის წესი, რომელიც აძლევს კაპიტალს გზასა არა მართალთასა.

და როდესაც კაპიტალი განაწილდება თანაბრად მშრომელთა შორის, ნუთუ მოისპობა კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება, წეს-წყობილება? პირიქით, უფრო გაძლიერდება. კაპიტალი საღი გონებისა, ზნეობისა და აგებულების ხალხის ხელში უფრო იმატებს, კაპიტალური წარმოება უფრო გაძლიერდება, და დაადგება ყველა ეს უფრო სასარგებლო და საყოველთაო საჭირო საქმეს, და არა სანებივროებსა და საგარყვნილო საქმეთა, როგორსაც ადგია დღეს. მხოლოდ მის ნაცვლად, რომ ესენი მსახურებდნენ თვითო-ოროლას, გახდებიან საყოველთაო მსახურნი თანაბრად ყოველი კაცისა, რომელსაც-კი ჰშობავს დედა, შეეძლება და არ აარიდებს შრომას თავს,—თუმცა ეს თითქმის შეუძლებელი გახდება, რადგან მაშინდელს წესში შრომას ეს სამძიმო მნიშვნელობა-კი არ ექნება, როგორც დღეს, ის იქნება სიამოვნებასავით, როგორც გასართობი, სავარჯიშო ჯანისა, გონისა და აგებულების წარსამატებლად, თავისუფალი, უძალადო.

და დღეს, მინამ იძლეოდეს და შეიცვლებოდეს იურიდიული წესწყობილება ისრე, როგორც საჭიროა მშრომელთა და მეტი წილი კაცობრიობისათვის, შრომის პატრონი ჯერობით ებრძვის კაპიტალის პატრონს შეერთებული შრომით და თვისი შრომის მონარჩუნებული მცირეოდენი კაპიტალით. მთელს ევროპას მოედო სინდიკატები, ასსოციაციები, კოოპერაციები, არტელები და სხვა ამგვარი შეერთებული ძალანი მშრომელთა. და თან-და-თან ეს ცალკ-ცალკე გაფანტულნი და სხვადა-სხვა ხელობის ცალკე ამხანაგობანი სცდილობენ მთლად ერთმანეთში ქსელის გაბმას და შეერთებას და ამგვარად ძალისა ხელში დაჭერას.

ეს შეერთებული ძალა, რომელიც დღითი დღე ძლიერდება, არღვევს თან-და-თან იმ კედლებს, რომლითაც შემოზღუდულან კაპიტალის პატრონები და რომლისაც აგებაში უდევთ ამათ დიდი წილი...

იმ ხალხისათვის, სადაც ჯერ არ გაძლიერებულა და ფეხი არ მოუკიდნია დიდთა კაპიტალისტთა ძალას ეს შეერთებული შრომა, რომელიც ასრე ძლიერდება ევროპის დაწინაურებულს ხალხებში, უნდა იყვეს ნიმუში და მაგალითი. ეს არის უკეთესი სახსარი, რომ დღევანდელს წესში გაუწიოს ხალხმა ბრძოლა კაპიტალისტთა, რომ მუშის ნაშრომი რჩებოდეს ისევ მუშასა და არა კაპიტალის პატრონს.

მაგრამ, ვიმეორებ, რომ ჩვენგვარი ეკონომიურად და სწავლით დავარდნილი ხალხისთვის ყოველრიგი კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოების შემოღება სჯობიან, ასრე ბნელსა და უსახსრობაში დარჩენას. და ამასთანავე გვმართებს მეცადინეობა, რომ რაც შეიძლება უკეთესს კაპიტალურს წარმოებას მოვაკიდებინოთ ფეხი ჩვენში, რომ მოგება რჩებოდეს მშრომელთა ხელში და ჩვენსავე ხალხში.

რაც შეეხება მას, რომ სადაც ჯერ არა ყოფილა გაძლიერებული ის გარემოება, რომლითაც ასრე ძლიერათ იყრის კაპიტალი თვითო ოროლა ხელში თავს, ამისი არიდება არავის შეუძლიან, მინამ ეს გარემოება ჭინს არ მოიკლავს და თვითონვე თავის თავს არ ამოიჭამსო,—ეს არის აზრი ბავშური, აზრი აუწონარი. როდესაც სახელმწიფო კანონები, სახელმწიფო წყობილებანი ისრეთები დარდგინდებიან, რომ შეკრას სათავე ამგვარს კაპიტალურს მიმდინარეობას, დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, ეს მიმდინარეობა მიიღებს სხვა კალაპოტს, დაადგება სხვა გზას, ისრეთს გზას, როგორსაც მოინდომებს კაცის გონი. რითი მოხდა, რომ ჩინეთში ვერ იყრის მამული თვითო ოროლა კაცის ხელში თავს, როგორც სხვა ქვეყნებშია? მითი, რომ ჩინეთში უკრძალავს კა-

*) დასაწყისი იხ. გუშინდელს №-ში.

მიტრი სიგუამ 1 მ., ექვთიმე კოხრეიძემ 50 კ., ყარამან ნორაკიძემ 1 მ., იოსებ ვოინილოვიჩმა 1 მ., იორდანე გვალიამ 1 მ., მიხეილ მარკ. ნოდიამ 1 მ., ილიკო გამუჩიამ 1 მ., გერონტი ყ. ტუსკიამ 1 მ., ვლადიმერ საჯაიამ 1 მ., პავლე ჯაკომიამ 60 კ., სამსონ ქოიავამ 50 კ.. ვასილ დუმნოვმა 50 კ., დიმიტრი გუჯამიძემ 50 კ., ევგენი ხორავამ 50 კ., ტიმოთე გეგეჭკორიმ 40 კ., ავქსენტი საჯაიამ 30 კ., ფრანც გვარაშვილმა 30 კ., მიხეილ ნინიძემ 30 კ., სპირიდონ დუნდუამ 20 კ., ეუბა დიასამიძემ 20 კ., ისაკ ლაიტმანმა 30 კ. და პლატონ ბერძენიშვილმა 40 კ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 დეკემბერი.

**ბერლინი.** კელნის გაზეთს გაუგონია, რომ გერმანიის მთავრობა ოფიციალურად დაკითხვია ინგლისის მთავრობას, იმის გამო, რომ ტრანსვაალში შემოცვივდნენ გუნდი ყაჩაღთა იმ ადგილებიდან, რომელნიც ინგლისის მთავრობის მფარველობის ქვეშე იმყოფებიან. მთავრობა გერმანიისა თხოულობს დაცული იქმნას ის წეს-რიგი რომელიც დადგენილია საერთაშორისო ხელ-შეკრულობით.

**ბერნი.** იტალიელს მილიორანს ბრალსა სდებენ, რომ აბისინიის პრინცი მოიტაცაო, რომელიც ნევშატელში სცხოვრებდა. ეს ვგონებთ უსაფუძვლო ცილის წამებაა. მილიორანი ნევშატელშია ისევ. 24 დეკემბერს, როცა პრინცი კილში მიდიოდა, მილიორანმა მიაცილა რკინის გზის სადგურამდის.

**ლონდონი.** კალონიის მმართველობამ განაცხადა ოფიციალურად, ყოველს ღონეს ვიხმართო რომ ჯემსონის თავხედი მოქმედების შედეგი თავიდან ავიცილოთო. ამ მოქმედებას თვით ინგლისის მთავრობაცა ჰკიცხავსო.

**პრეტორია.** ტრანსვალის რესპუბლიკის სამზღვარზედ გადავიდნენ კიდევ 300 შეიარაღებული ინგლისელი. როგორც ამბობენ, ბოერებთა და ინგლისელთ შუა შეტაკება უნდა მოხდეს ამ დღეებში.

**იოჰანესბურგ.** აჯანყებამ იფეთქა.

## საღამოს დეპეშა

22 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** 21 დეკემბერს ლასკერის და სტეინიცის ჭადრაკის პარტია გაყაიმდა, პილსბერიმ მოუგო ჩიგორინს.

**პარისი.** მინისტრთა საბჭომ განიხილა ტრაანსვალში საქმეთა მდგომარეობა. საფრანგეთის მთავრობა თვალ-ყურს ადევნებს, რომ საფრანგეთის ინტერესები დაცულ იქმნან აფრიკაში.

**ლონდონი.** «დეილი ტელეგრაფ» ქებით იხსენიებს ჯემსონის ლაშქრის ტრანსვაალში შესვლას და ამბობს, რომ ინგლისის ჯარი მიეშველება ჯემსონსაო. გაზეთის აზრით, ტრანსვაალის ინციდენტი ინგლისის შინაური საქმეა და ინგლისის მთავრობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორის აზრის არიან საფრანგეთი და გერმანია. მხოლოდ «დეილი ნიუს» ჰკიცხავს ჯემსონის მოქმედებას და შიშობს, რომ ინგლისის გავლენა სრულიად მოისპობა აფრიკაშიო.

მოვიდა ოფიციალური ცნობა, რომ ჯემსონის ლაშქარი იოჰანესბურგთან ძლიერ დაამარცხეს ბოერებმაო; თვით ჯემსონი ტყვეთ წაიყვანესო. მინისტრმა ჩემბერლენმა დეპეშით სთხოვა ტრანსვაალის პრეზიდენტს კრიუგერს, ლმობიერად მოექეცით ტყვეთა და დაჭრილთაო.

---

ნონი, არავის შეეძლოს რომელსამე ზომაზედ მეტი მამულის შეძენა. გადაწყვეტილია, ვთქვათ, ოცი დღისა: ოცი დღის მამულის მეტის შეძენა არავის შეუძლიან. ცხადია, აქ ხელი შეკრული აქვს ყველას, რომ მთელი ქვეყნის მამულებს მოუყაროს თავის ხელში თავი. ის მაგალითი, რომელიც ამას წინად რუსის მწერლობას მოჰყავდა: როდესაც სპიჩკას მოეკიდება, მინამ არ დაიწვის—არ ჩაქრებაო, დღევანდელი კაპიტალური მოქმედება ასრეთიაო,—არის მაგალითი ბავშვური. ერთი უბრალო შებერვაც-კი ჩააქრობს ანთებულს სპიჩკას არა თუნდა გაჩაღებულს სანთლებსაც, თუ-კი ეს მაგალითი ამტკიცებს რასმე.

რომ შეუწყოს სახელმწიფომ ხელი, დაარდგინოს მშრომელთა სამფარველო კანონები, შეიგნოს თვითონ ხალხმა, ჰყვანდეს ხალხს რიგიანი მოთავენი და ხელის მძღვანელნი მშრომელთა ამხანაგობების შესარდგენათ, ამხანაგობათა ერთმანერთთან დასაკავშირებლათ, უკე-თუ ამასთან სახელმწიფო დაეხმარება ამათ თავისი კაპიტალით და სხვა ამგვარები,— ნუ თუ კაპიტალი გაიწევს ისევ როშილდისა და ნობელისაკენ, და არა მშრომელთაგკენ, რომელთაც რაკი თავისი საქმე ექნებათ აღარ ეცლებათ კაპიტალისტისვის და ურომლითოთაც ვერც ერთი კაპიტალისტი ვერას გააკეთებს?

ანტ. ფურცელაძე.

1895 წ. ენკენისთვე.

# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სარაჯიან შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაშეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათმდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

---

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

**ავადმყოფებს მიიღებს:**

დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—60).

---

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, ქირავდება სარდაფი. ფასის შეტყობა შეიძლება „ივერიის“ რედაქციაში. 10—1

---

მაქვს ფარჩაზედ დახატული **თამარ დედოფლის** სურათი ბალიშებისათვის, თვითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე **ქართველთა ყველა გამოჩენილის** კაცის სურათი—აბრეშუმის ცხვირ-სახოცზედ. თითო ღირს 3 აბაზი—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული აბაზი, 5 შაური და 6 შაური ლამპის სარდილობელი (აბაჟური) **ქართველთა გამოჩენილ მწერლების** სურათებით (6 სურათი)—3 მან.

ტფილისი, კოჩუბეის ქუჩა, დრობიშევის სახლი, № 21, ალექსანდრა როდიონოვისა.

---

**ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ 28 დეკემბერს 1895 წელს ქართველ თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, № 12, მეორედ და უკანასკნელად მოხდება საჯაროდ ვაჭრობა, ვაჭრობის განუმეორებლად, იმ მამულებისა, რომლებიც 9 სა, 11-სა და 14 დეკემბერს 1895 წ. დანიშნულს საჯაროდ ვაჭრობაზე არ გაიყიდნენ.

ქალაქის მამულები:

მარკოზოვი (მარკოზაშვილი) პეტრე მარკოზის ძე: ერთ-სართულიანი სახლი და ორი ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 67 ოთხ-კუთხი საჟ. და 8¼ ოთხ-კუთხი არშინი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება; ქ. ტფილისს, 1-ლ ნაწილში, ვარდის-უბანში. თავნი ვალი 1969 მან. 24 კ., შემოუტანელი გარდასახადი 95 მან. 03 კ., და სულ 2064 მან. 27 კ.

ადამია გიორგი ვახტანგის ძე: ერთ-ნახევარ-სართულიანი და ერთ-სართულიანი სახლი, მიწა ზომით 225 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება; ქ. ქუთაისს, ტფილისის ქუჩაზე. თავნი ვალი 5258 მან. 08 კ., შემოუტანელი გარდასახადი 209 მან. 30 კ., და სულ 5467 მან. 38 კ.

სუსუნიკაშვილი იოსებ მამაჯანის ძე (დავითის ძისა): ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ასეთივე ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება; ქ. ქუთაისს, გაგარინის ქუჩაზე. თავნი ვალი 6892 მან. 36 კ., შემოუტანელი გარდასახადი 352 მ. 87 კ., და სულ 7245 მან. 23 კ.

წულუკიძისა ელისაბედ ონისიმეს ასული: ორ-სართულიანი სახლი და ერთ-სართულიანი მინაშენი, მიწა ზომით 170 ოთხ-კუთხი საჟ.; ქ. ქუთაისს, ორტილერიის ქუჩაზე. თავნი ვალი 4923 მან. 11 კ., შემოუტანელი გარდასახადი 206 მან. 43 კ., და სულ 5129 მან. 54 კ.

ამირეჯიბი ელისაბედ გრიგოლის ასული: ერთ-სართულიანი სახლი და ორ-სართულიანი ფლიგელი ფარდულით, მიწა ზომით 162 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ქუთაისს, პეტრეს ქუჩაზე. თავნი ვალი 3840 მან. 02 კ., შემოუტანელი გარდასახადი 210 მან., 84 კ., და სულ 4050 მან. 86 კ.

დანელია დიმიტრი და ნიკოლოზ თევდორეს ძენი და ქაიხოსრო გვათიევი: ერთ-სართულიანი შენობა, მიწა ზომით 24 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ბათუმს. თავნი ვალი 1460 მან. 57 კ., შემოუტანელი გარდასახადი 148 მან. 88 კ., და სულ 1609 მან. 45 კაპ.

მიქარავა დუტუ გიორგის ძე: ერთ-სართულიანი სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 180 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ფოთს, ევპატორის ქუჩაზე. თავნი ვალი 542 მან. 52 კ., შემოუტანელი გარდასახადი 90 მან. 84. კ., და სულ 633 მან. 36 კ.

ტერ-პეტროსოვი არშაკ ნერსესის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 17 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება; ქ. გორს. თავნი ვალი 866 მან. 03., შემოუტანელი გარდასახადი 144 მან. 06 კ., და სულ 1010 მან. 09 კ.

სამსონაძე: გიორგი ივანეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით სიგრძით 3 ოთხ-კუთხი საჟ. და სიგანით 2½ ოთხ-კუთხი საჟ., ქ. გორში. თავნი ვალი 536 მან. 14 კ., შემოუტანელი გარდასახადი 69 მან. 55 კ., და სულ 605 მან. 69 კ.

ბარძიმოვი ალექსანდრე ბარძიმის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით 110 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. თელავს. თავნი ვალი 739 მან. 21 კ., შემოუტანელი გარდასახადი 94 მან. 49 კ., და სულ 825 მან. 70 კ.

თუთაევისა მარიამ რაფიელის ასული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწა ზომით 24 ოთხ-კუთხი საჟ. და 8 ოთხ-კუთხი არშინი; ქ. გორს. თავნი ვალი 639 მან. 80 კ. შემოუტანელი გარდასახადი 80 მან. 16 კ., და სულ 719 მან. 96 კ.

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** აცხადებს, რომ შაბათს, 23 დეკემბერს, დღის თორმეტ საათზე მოხდება საჯაროდ ვაჭრობა ნაცვლად იმ ვაჭრობისა, რომელიც ამ წლის 22 ნოემბერს იყო დანიშნული, რათა იჯარით იქმნას გაცემული 200 კუბიკურ საჟენი სიპი ქვისა და 250 კუმიკურ საჟენის წვრილი ღორღის დადგმა ქალაქის ქუჩების შესაკეთებლად. იჯარით გაცემის პირობები მსურველთ შეუძლიანთ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ნახონ ხოლმე ყოველ დღე დილის 10-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე. (2—6—1)

---

დაიბეჭდა პირველ გამოცემად

## თავდადებულნი ქართველნი

ისტორ. მოთხრობანი

**ი. გოგებაშვილისა.**

წიგნში მოთავსებულია სამი მოთხრობა: თავდადებული მღვდელი თევდორე, თავდადებული აზნაური იოთამ ზედგინიძე და თავდადებული ცოტნე დადიანი. ბოლოში დამატებად დაბეჭდილია მეოთხე მოთხრობა ებრაელთა ისტორიიდამ „გამარჯვებული დედა“, რომელსაც შინაგანი კავშირი აქვს წინა მოთხრობების დედა-აზრთანა. წიგნი შემკულია ცხრა სურათით, სახელდობ: 1) თევდორე მღვდელი ჰკეტავს ეკკლესიას თავის გაქცევის წინად და თათრის ჯარი მიასწრობს; 2) თევდორე მღვდელს ტყეში ჰკლამენ თათრები; 3) სომხის მღვდელი საააკაშვილი მიაჭენებს გორისაკენ ცხენსა და უკან მისდევს თათრის ჯარი; 4) გორის ხიდი ჩაშლილი დაუხვდება თათრის ჯარსა და გორი გადაურჩება მტრის შესევასა; 5) სამი მკვლელი ღამით მიიპარება მეფე გიორგის საწოლში, სადაც სძინავს იოთამ ზედგინიძესა; 6) მეფე გიორგი შედის დილით თავისს საწოლში და ხედავს ზედგინიძეს დაჭრილსა და მომაკვდავსა; 7) კრება ქართველთ მამულიშვილთა ახალციხის ახლო მონგოლთა წინააღმდეგ ასაჯანყებლად საქართველოსი, ცოტნე დადიანის მონაწილეობით; 8) ანისის ქალაქში დატყვევებულნი სხედან ტიტვლად მეიდანზედ, მიდის მათთან ცოტნე დადიანი და ნება-ყოფლობით იმავე სასჯელს კისრულობს და 9) დამატებაში—ფარაონის ქალი თავისის მოახლეებით პოულობს მდინარე ნილოსში პაწია მოსეს, კალათში ჩაწვენილსა. წიგნი ისყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში, თბილისში: წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში: ბეჟანეიშვილთან, ჭილაძესთან და ხეთერელთანა. სხვა ქალაქებშიაც იგზავნება. ფასი ყველგან ორი შაური. (10—1).

Дозволено цензурою, Тифлисъ 21-го Декабря 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.